

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის  
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

**სალიტერატურო ენის  
საკითხები  
II**

2021 წლის 16-17 აპრილი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი  
2021

სამეცნიერო კონფერენცია გაიმართება არნ. ჩიქობავას სახე-  
ლობის **ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში**  
(პ. ინგოროყვას ქუჩა № 8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი  
მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – **თამარ ვაშაკიძე**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

## მუშაობის განრიგი

16 აპრილი, 11.00

თავმჯდომარე – თამარ ვაშაკიძე

ნოდარ არდოტელი – ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ეთნონიმთა ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის შესახებ ქართულში

თინათინ ბოლქვაძე – ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები საქართველოს კანონებში სახელმწიფო ენისა და რეკლამის შესახებ

თეა ბურჭულაძე – ერთი ტიპის სახელწოდებათა (მაგთი ჯგუფი, სითი მოლი...) მართლწერისათვის

გიორგი გოგოლაშვილი – ქართული ენის დღე – იდეა, მიზანი და... შედეგი

ქეთევან დათუკიშვილი – მართულმსაზღვრელიან კომპოზიტთა დაწერილობისათვის

თამარ ვაშაკიძე – ნაცვალსახელი „სხვადასხვა“ მსაზღვრელად

რუსუდან ზექალაშვილი – დიალექტიზმებით შექმნილი მხატვრული სამყარო (ზ. არსენიშვილის პროზის მიხედვით)

მაკა თეთრაძე – პასუხისმგებლობიანი ბიზნესი და ადამიანი

მაკა ლაზარტყვა – ხან ფუძის შემცველ კომპოზიტურ ზმნისართთა მართლწერისათვის

რომან ლოლუა – ლეზბიურ ლიტერატურულ ენათა შესახებ

ვახტანგ მაღრაძე – უცხოურ სახელწოდებათა უმართებულოდ გამოყენების ერთი შემთხვევისათვის

## 17 აპრილი, 11.00

### თავმჯდომარე – თეა ზურჭულაძე

მ ა რ ი ა მ ო რ კ ო დ ა შ ვ ი ლ ი – ენობრივი ინტერფერენცია – ენის ევოლუციური სტადიები თუ ენობრივი რეგრესი?

თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი – ატრიბუტული მსაზღვრელის შემცველ კომპოზიტთა მართლწერისათვის

ლ ი ა ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე – ტერმინოლოგიური პოლიტიკა და თანამედროვე ქართული ენა

დ ო დ ო ღ ღ ო ნ ტ ი – „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ სიტყვანისათვის

ვ ა ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა – ყაზარდოულ-ჩერქეზული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე – ლექსიკური ენობრივი დონე – როგორც რთულ ენობრივ ტენდენციათა ინდიკატორი

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა – ინგუშური სალიტერატურო ენის ერთი პრობლემური საკითხისათვის

ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე – ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება (თანამედროვე მდგომარეობა და მომავლის ამოცანები)

### სტუდენტთა სექცია

ნ ა მ ი ლ გ ა ს ა ნ ო ვ ი – ერთი სახის ფრაზეოლოგიური გამოთქმებისათვის აზერბაიჯანულში (ქართულთან მიმართებით)

მ ა რ ი ა მ ტ ე ფ ნ ა ძ ე – ნაცვალსახელთა ბრუნების ტიპები ძველ ქართულში

ნ ა თ ი ა ტ ყ ე მ ა ლ ა ძ ე – შერწყმულთანდებულიანი სახელებისა და ზმნა-შემასმენლის სინტაქსური მექანიზმისათვის თანამედროვე ქართულში (-ში და -ზე- თანდებულიანი სახელები)

ს ა ნ დ რ ო ჩ ე მ ი ნ ა ვ ა – დაცემულ ანგელოზთა სახე „ღვთაებრივ კომედიაში“

## ნოდარ არდოტელი

### დაღესტნურ ეთნონიმთა ტრანსლიტერაციისათვის ქართულში

ზოგადად, კავკასიურ ეთნიკურ ტერმინთა, კონკრეტულად, დაღესტნური ეთნონიმების – ხალხთა ეთნიკური იდენტობის გამომხატველი სახელების – ქართული ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის საკითხების სათანადოდ დამუშავება ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან ქართულ მხატვრულ ლიტერატურასა და სამეცნიერო ნაშრომებში არაიშვიათად ვაწყდებით უზუსტობებს.

დაღესტნურ ენებზე მეტყველ ხალხთა აღსანიშნავად უპირატესად ორი სახის ეთნონიმი გაირჩევა: 1) ენდოეთნონიმები და 2) ტოპონიმური ეთნონიმები.

1) ენდოეთნონიმური სახელებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი დაღესტნელი ხალხის აღსანიშნავად ქართულში ოდითგანვე გავრცელებულია ეთნონიმი „**ხუნმ-ი**“ (მრ. **ხუნმები**), რომელიც კარგად არის ცნობილი „ქართლის ცხოვრებიდან“ და ისტორიოგრაფიდან. თანამედროვე ქართულში გავრცელებული და დამკვიდრებულია „**ხუნმი**“, რომელიც მართებულია და ასევე უნდა იწერებოდეს. რაც შეეხება „**ხუნმის**“ სინონიმად თავჩენილ „**აგარ**“-ს, იგი ქართული სინამდვილისთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი, თუმცა ამ სიტყვის გამოყენებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტოპონიმური წარმოების სახელს „**აგარელი**“.

ანალოგიური აგებულებისაა სხვა დაღესტნურ ენებზე მეტყველი ხალხების აღსანიშნავი ეთნიკური სახელები, რომელთა სწორი დაწერილობა ასე გვესახება და ამ სახით უნდა გამოიყენებოდეს: **კამალი** (მრ. **კამალები**), **ხაგვალი** (მრ. **ხაგვალები**), **დიდო**//**დიდოელი** (მრ. **დიდოები**//**დიდოელები**), **ლაკი** (მრ. **ლაკები**), **ლეზგი** (მრ. **ლეზგები**), **უდი** (მრ. **უდიები**), **წახი** (მრ. **წახები**), **აღული**//**აღულელი**<sup>1</sup> (მრ. **აღულები**//**აღულელები**). ქართულში გავრცელებული ზემომოყვანილი ენდოეთნონიმებიდან მცდარ ფორმებად მიიჩნევა: **აგარელი**, **კა-**

<sup>1</sup> პარალელურად დასაშვებია ფორმის გავრცელების საკითხს ენობრივი უზუსტი განსაზღვრავს.

**მაღალი, ბაგვალალი // ბაგულალი, ლეზგიელი // ლეზგინელი // ლეზგელი, უტი // უდინი // უდები.**

2) ეთნიკური სახელები, რომლებიც ოიკონიმებზე სათანადო სუფიქსის დართვით არის წარმოებულ-წარმოქმნილი და ტოპონიმურ ეთნონიმთა რიცხვს განეკუთვნება, მაგ.: **ანდიელი** (<ანდი – აული ანდიის ყოისუს ხეობაში, შდრ. **ჰანჯი** – მაჰჩაყალის ხუნძური სახელწოდება), **ბოთლიხელი** (<**ბოთლიხი**), **ლოდობერიელი** (<**ლოდობერი**), **ტინდიელი** (<**ტინდი**), **კარატაელი** (<**კარატა**), **ახვახელი** (<**ახვახი** – ახვახელთა განსახლების არეალის საერთო-ეთნიკური ტერმინი), **ჰინუხელი** (<**ჰინუხი**-ი < ხუნძ. **ჰინუჯ** – დიდოური აული), **ხვარშიელი** (<**ხვარში** < ხუნძ. **ჯუარში** – აული წუმადის რაიონში), **ბეჯიტელი** (<**ბეჯიტა** < ქართ. **ბეჯიტა** < ხუნძ. **ბეჯტა**, ბეჟ. **ბეჯტა** აული წუმადის რაიონში), **ჰუნზიხელი** (< **ჰუნზიხ**-ი < ხუნძ. **ჰუნზიხ**, ჰუნზ. **ჰანტა**), **დარგოელი** (< **დარგო** – ეთნოტერიტორიული სახელწოდება, შდრ. **დარღო**), **თაბასარანელი** (< **თაბასარანი** – რაიონული ცენტრი სამხრეთ-აღმოსავლეთ დაღესტანში), **არჩიხელი/არჩიელი**<sup>1</sup> (< ხუნძ. **არჩიხ**, ლაკ. **არჩი** – ერთენიანი აული), **მუხადელი** (< **მუხად**-ი – აული), **ბუდუხელი** (< **ბუდუხ**-ი – აული), **ხინალუღელი** (< **ხინალუღ**-ი – აული), **კრიწელი** (< **კრიწი**-ი – აული).

არაიშვიათად ზემომოყვანილ ტოპონიმურ ეთნონიმებს მოეკოვება ფონეტიკური სახესხვაობანი, რომლებიც უმართებულო და უკუსაგდებია: **ანდელი, კარატელი, ტინდელი, ხვარშიელი, ჰუნზელი, დარღოელი//დარგუელი, ტაბასარანელი, არჩელი//არჩელი//არჩინელი, რუთულელი, ბუდუხი, ხინალუღი, კრიწი, კრიზელი** (შდრ. რუს. Крызы „კრიწელები“) და მისთ.

დაღესტნის იბერიულ-კავკასიურ ენებზე მეტყველ ხალხთა აღმნიშვნელი ეთნონიმების ტრანსლიტერაციისას თავს იჩენს სპეციფიკურ ასობგერათა დაწერილობის ქართულთან შეუსაბამობა, რომლის დროსაც თავისებური ხმოვნები და თანხმოვნები შემდეგნაირად გადმოიტანება და დაიწერება: **ჲ > ა, ო > ი, აჲ > ა, ო > ო, გ > უ, კ > კ, ხ > ხ, ჯ > ხ, წ > ხ, ლ > თლ** (თავკიდურად // ჰლ), **შ > 0**. გადმოქართულებისას მეტწილად თითოეული ეთნონიმის მართლწერას ექცე-

---

<sup>1</sup> საცილებელ ფორმათაგან უპირატესობა შეიძლება პირველ ფორმას მიენიჭოს, როგორც მათი სოფლის ოფიციალური სახელიდან ნაწარმოებსა და ქართულშიც უფრო მეტად დამკვიდრებულს.

ვა მეტი ყურადღება, თუმცა ტერმინის ისტორიასა და გამოყენების ტრადიციასაც უნდა გაეწიოს ანგარიში.

## თ ი ნ ა თ ი ნ ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე

### **ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები**

(საქართველოს კანონებში სახელმწიფო ენისა და რეკლამის შესახებ)

მოხსენებაში განხილულია ტერმინების – **სახელმწიფო ენი-სა და ოფიციალური ენის** – დეფინიცია და მნიშვნელობა ევროპის ქვეყნების კონსტიტუციებსა და სხვა საკანონმდებლო აქტებზე დაყრდნობით. ქართული ენის ფუნქციონირება ნაკვლევია საქართველოსთვის ისტორიულად დამახასიათებელი მრავალენოვნების ფონზე. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება იმ საკითხებზე, რომელთა ინტერპრეტაცია სადავოა ან შეიძლება სადავო გახდეს საქართველოს კანონებში სახელმწიფო ენისა და რეკლამის შესახებ. ცალკე განხილვის საგნად არის ქცეული ის აცდენები, რომლებიც ახასიათებს ამ ორ კანონს რეკლამის სახელმწიფო ენაზე განთავსებისა და ტრანსლიტერირების დროს.

## თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

### **ერთი ტიპის სახელწოდებათა მართლწერისათვის**

საკუთარ სახელთა დიდი ნაწილი, მათ შორის კომპანიათა სახელწოდებები, სტიქიურად იქმნება. ზოგჯერ ისინი უცხო ენის გავლენითა თუ უმართებულო ენობრივი სტრუქტურის მიხედვით ფორმდება. ყველაზე ხშირად დასტურდება ერთსიტყვიანი ფორმები, თუმცა არცთუ იშვიათად ორწევრა შესიტყვებებიც გამოიყენება.

ენობრივი თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ისეთი ორწევრა სახელწოდებები, რომელთა მეორე ნაწილი **ჯგუფი** და **მოლი** სიტყვების შემცველია: ლილო მოლი, მაგთი ჯგუფი, სითი მოლი, თბილსერვის ჯგუფი, ერდო ჯგუფი, არქი ჯგუფი... ერთი შეხედვითაც კი ნათლად ჩანს, რომ დასახელებული სახელწოდებები ინგლისური ენის სტრუქტურითაა შექმნილი – პირველი კომპონენტი ფუძის სახით არის წარმოდგენილი (ნათესაობითი ბრუნვის ნაცვლად).

ცხადია, ამ ტიპის სახელწოდებებში მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური წყობა გვაქვს, სადაც პირველი ნაწილი კუთვნილების გამომხატველია, სუბსტანტიური სტრუქტურისაა და ქართულში ის ნათესაობით ბრუნვას მოითხოვს. რეალურად ესაა **მაგთის ჯგუფი, ლილოს მოლი, თბილსერვისის ჯგუფი, არქის ჯგუფი** და სხვ.

ნათესაობითბრუნვიანი ფორმების გარდა სწორი იქნებოდა მათი შებრუნებული წყობით (**ჯგუფი არქი, მოლი ლილო...**) ან ერთად დაწერილობით წარმოდგენა: **მაგთიჯგუფი, არქიჯგუფი, ლილომოლი, სითიმოლი, ერდოჯგუფი...**

ამავე პრინციპის მიხედვით უნდა დაიწეროს რამდენიმეწევრიანი სახელწოდებებიც: **თბილსერვისჯგუფი, ეკოსერვისჯგუფი...**

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

## **ქართული ენის დღე – იდეა, მიზანი და... შედეგი**

14 აპრილი ქართული ენის დღეა!

ფაქტია: ამ ეროვნული მნიშვნელობის დღედ 14 აპრილის შერჩევა 1978 წლის აპრილის მოვლენებს უკავშირდება...

1978 წლის აპრილში საბჭოთა იმპერიის იძულებითი უკანდახევა კარგად გამოიყენეს იმ დროს ქართული ენის ბედით დაგულისყურებულმა მოღვაწეებმა და ერთი წლის თავზე (1979 წლის აპრილში) კომუნისტურ მთავრობას მიაღებინეს დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლებლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავ-



ლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“...

1983 წლის სექტემბერში მთავრობა ისევ ცდილობს დედაენის გულშემატკივართა გულის მოგებას და საგანგებოდ მსჯელობს ქართული ენის შესახებ ადრე მიღებული დადგენილების შესრულების თაობაზე... 1978 წლის 14 აპრილის სუნთქვა ისევ ისმის... ხელისუფლების „წასაქვებლად“ იბეჭდება წერილები პრესაში... ქართული ენის საქმე წინ მიდის... (მარტო ის რად ღირს: ამ დადგენილებათა წყალობით საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში ყველა სპეციალობაზე შემოღებულ იქნა სავალდებულო კურსი „ქართული ენა“ – იგივე „ქართული მეტყველების კულტურა“, რომელიც 2004 წელს მოსულმა ხელისუფლებამ გააუქმა...)...

მაგრამ ქართული ენის დღე ჯერ არ არსებობდა...

და 1984 წელს გაცხადდა **იდეა ქართული ენის დღის** დაწესების შესახებ: აკადემიკოსი **არნოლდ ჩიქობავა** აქვეყნებს წერილს „ხალხი, ენა, მწერალი“ („ქართული სტყვის კულტურის საკითხები“, წიგნი VI ), რომელშიც კითხვას სვამს: **„ზუნებრივი არ იქნებოდა, გვეწოდება ქართული ენის დღე, იმ ენის დღე, ურომლისოდანც რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას... ზარები არ იგუგუნებდნენ?..“** ბატონი არნოლდი აქ კიდევ ერთ საინტერესო იდეას გვთავაზობს: „შეიძლებოდა ქართული ენის დღე დაკავშირებოდა ქართული პოეზიის მწვერვალის – რუსთაველის დღეს: **„რუსთაველისა და ქართული ენის დღე“**... (დიდებულია: რესთაველი და ქართული ენა თანაბრად ძვირფასი და საამაყო ჩვენთვის!)...

არსებითია ისიც, რომ აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ განსაზღვრა მიზანი ამ დღის დაარსებისა, მისი შინაარსი (გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება):

**„ამ დღეს შევაჯამებდით, რა გაკეთდა ქართული ენის კვლევისთვის რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითსა და სამეცნიერო-პედაგოგიურ დაწესებულებებში... სალიტერატურო ენის ნორმათა სახელმწიფო კომისიაში, რადიოსა და ტელევიზიაში – ნორმათა დანერგვის მხრივ... რა გაკეთდა ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებთა მასობრივი გამოცემების მხრივ... და ასე შემდეგ...“**

იდეა ძალიან ნათლად და გარკვევით იყო ჩამოყალიბებული... მალე ეს იდეა საქმედ იქცა – **ქართული ენის დღე დააკანონა „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამამ“**...

მოგეხსენებათ: არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტმა (დირექტორი ბ. ჯორბენაძე) ისარგებლა იმჟამად ეროვნული მოძრაობის აღმავლობით და ხელისუფლებას ამ პროგრამის შექმნის იდეა შესთავაზა... ხელისუფლება დაითანხმეს და „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ პროექტი გამოქვეყნდა 1988 წლის 3 ნოემბერს, დამტკიცდა 1989 წლის 15 აგვისტოს...

სწორედ ამ პროგრამაში ჩაიწერა – **14 აპრილი ქართული ენის დღეაო** – და განისაზღვრა კიდეც მისი დანიშნულება (ის, რაც ამ დღის იდეაში იყო ჩათქმული არნ. ჩიქობავას მიერ): **„ამ დღეს შეჯამდება, რა გაკეთდაო“** წლის განმავლობაში დედაენის სასიკეთოდ!...

ასე რომ, **1989 წლიდან 14 აპრილი ოფიციალურად არის ქართული ენის დღე...** 1990-1991 წლებში „ამ დღეს ვაჯამებდით, რა გაკეთდა ქართული ენის“ სასიკეთოდ ქვეყანაში...

მაგრამ 1991 წლიდან ეს პროგრამა გვერდზე გადადეს... იმჟამინდელმა ერთ-ერთმა „მოღვაწემ“ განმარტა: ეს კომუნისტების პროგრამააო... **ქართული ენის დღეს გამოეცალა შინაარსი, აზრი და მიზანი...**

ენათმეცნიერების ინსტიტუტმა 90-იან წლებში წამოიწყო ბრძოლა ახალი იდეისათვის – ენის კანონისათვის... 2012 წელს ისევ გაცოცხლდა იდეა ენის კანონის შექმნისა და **2015 წლის 22 ივნისს** პარლამენტმა მიიღო „საქართველოს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ“...

გაჩნდა იმედი იმისა, რომ კანონი უზრუნველყოფდა დედაენის დაცვასა და განვითარებას; **ქართული ენის დღე – 14 აპრილი – დაიბრუნებდა შინაარსს...**

სამწუხაროდ, გამოვიდა, რომ **კანონი მიიღეს კანონისათვის:** კანონის მიხედვით, **2016 წლის 1 თებერვლამდე უნდა შექმნილიყო „სახელმწიფო ენის დეპარტამენტი“** (მთავარი მექანიზმი კანონის აღსრულებისათვის), ხოლო **2016 წლის 14 აპრილამდე უნდა დამტკიცებულიყო „სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა“**... და მრავალი სხვა...

როგორც იქნა, 2017 წლის 27 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრმა გამოსცა ბრძანება სახელმწიფო ენის დეპარტამენტს შექმნის შესახებ... დეპარტამენტი კი შეიქმნა, მაგრამ...

**„სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა“ ჯერაც არ არსებობს...** არადა კანონის მოთხოვნის შესაბამისად **ხუთი წლის წინათ დამტკიც-**

**ცეხული უნდა ყოფილიყო...** პროგრამის არარსებობისა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტის არაჯეროვანი საქმიანობის გამო სახელმწიფო ენის **კანონი ფაქტობრივ არ მოქმედებს...**

კითხვა: **სახელმწიფო ენის კანონი იკანონებს ოდესმე?..** ვნახოთ...

## ქ ე თ ე ვ ა ნ   დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი

### **მართულმსაზღვრელიან კომპოზიტა დაწერილობისათვის**

მართულმსაზღვრელიან კომპოზიტა პირველი წევრი ნათესაობით ბრუნვაში მდგომი სახელია, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია მხოლოდითი რიცხვის ფორმით (ქინძისთავი, ვერცხლისწყალი, დისშვილი, აგურისფერი...), მრავლობითში კი მხოლოდ თანიანი ვარიანტი გვხვდება (სულთამხუთავი, მკათათვე...). ფონეტიკური ცვლილების შედეგად ზოგჯერ იკარგება **-ის** ბრუნვის ნიშნის თანხმოვანი ელემენტი: დედინაცვალი, მამიდა, რკინიგზა; ზოგჯერ კი ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია: ცხვირსახოცი, ხელსახოცი... თანიანი ნათესაობითის ფორმაშიც დასტურდება ფონეტიკური პროცესები: მოკვეცილია **თა** სუფიქსის ხმოვანი: მზეთუნახავი, მიწათმოქმედი... ან **თა** მოკვეცილია სრულად: წიგნსაცავი, ნავსადგური...

ზემოთ წარმოდგენილი ფონეტიკურად სახეცვლილი კომპოზიტების დაწერილობა ცნობილია: ეს რთული სიტყვები იწერება დეფისის გარეშე.

პრობლემას ქმნის იმგვარი შემთხვევები, როდესაც მართულმსაზღვრელს ბრუნვის ნიშანი სრულად დაერთვის. ასეთ დროს გასარკვევია, მსაზღვრელ-საზღვრული შესიტყვება თუ უკვე გაკომპოზიტებულია, შესაბამისად, ცალკე უნდა დაიწეროს თუ ერთად. მაგალითად: გულის მგერა თუ გულისმგერა; ავის მომასწავებელი თუ ავისმომასწავებელი; ხელის შემშლელი თუ ხელისშემშლელი და ა. შ.

მოხსენებაში განხილული იქნება ის შემთხვევები, როდესაც განსხვავებული დაწერილობა არის მოცემული ქეგლსა და ქართული

ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონებში. წარმოდგენილი იქნება აგრეთვე მასალა ქართული ენის კორპუსებიდან.

## თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

### ნაცვალსახელი „სხვადასხვა“ მსაზღვრელად

მხატვრულ ლიტერატურასა და პრესაში (აგრეთვე ზეპირი მეტყველებისას) მსაზღვრელად გამოყენებულ **სხვადასხვა** ნაცვალსახელთან საზღვრული ხშირად მრავლობითი რიცხვის ფორმითაც დასტურდება, თუმცა გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ეს უკანასკნელი (საზღვრული) მხოლოდითით არის წარმოდგენილი: „ასე გულთბილად მესაუბრებოდა, გადასწვდა **სხვადასხვა ამბებს**, მშვენიერ გუნებაზე იყო“ (გ. დოჩანაშვილი); „**სხვადასხვა ქვეყნებიდან** გასაყიდად მოყვანილი ტყვეები აქ იყო თავმოყრილი“ (ნ. ლომოური); „**სხვადასხვა ბილიკებით** ლაშქარი მიეშურება მტკვრის ნაპირისკენ“ (ვ. ბარნოვი); „**სხვადასხვა ადგილებში** მოგროვილი სალდათები მღეროდნენ და ბარაბანს უკრავდნენ“ (ა. ყაზბეგი); „ცხარე ბრძოლის მაგივრად ხალხი საქაროდ დაამშვიდა **სხვადასხვა საჩუქრებით** მთაში მეორე ძალის მქონებელმა მებატონემ“ (ა. ყაზბეგი); „ჩვენი პორტებიდან **სხვადასხვა ქვეყნებში** გაგვქონდა ნავთობპროდუქტები“ („საქ. რესპუბლიკა“: 2013); „გატის, მსოფლიოს ჩემპიონს **სხვადასხვა წონებში**, ცოტა ხნის წინ 34 წელი შეუსრულდა“ („სარბიელი“: 2006); „ამისთვის მსოფლიოს **სხვადასხვა ქვეყნებში** ვიმოგზაურეთ, სადაც გახსნილი გვაქვს სკოლები“ („24 საათი“: 2004); „გერმანიის **სხვადასხვა ქალაქებში** მისი ნამუშევრები სამჯერ გამოიფინა“ („24 საათი“: 2004), შდრ.: „მოგზაურობა საქართველოს **სხვადასხვა კუთხეში** პრაქტიკული და მეცნიერული მიზნით“ (მ. ჯავახიშვილი); „**სხვადასხვა გზით** მიემართებოდნენ რაზმები, სხვადასხვანაირად შემოსილ-შეიარაღებული“ (ვ. ბარნოვი); „სოფელი შეწუხდა გაუნათლებლობით, **სხვადასხვა სნეულებით** და ორფეხა წურბელა ნადირებით“ (ნ. ლომოური); „ერთ ენაზე მოლაპარაკე ადამიანებს უფალი **სხვადასხვა**

**ენაზე** ალაპარაკებს“ (თ. კვაჭანტირაძე); „ტყეში კი **სხვადასხვა ხე** დგას“ (ნ. ლომოური) და სხვ.

ნაცვალსახელი **სხვადასხვა** აღნიშნავს როგორც „რამდენიმე სხვას“ (სხვადასხვა: რამდენიმე სხვა, – არა ერთი და იგივე – ქეგლი, ერთტომეული), ასევე – „სხვადასხვანაირს“ (სხვადასხვა: სხვადასხვაგვარი, სხვადასხვანაირი, ნაირ-ნაირი – ქეგლი, VI). ძველ ქართულშიც განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **თითოსახე** განიმარტება როგორც „სხვადასხვა“, „ნაირგვარი“, „მრავალფერი“ (ი. აბულაძე, „ძვ. ქართ. ენის ლექსიკონი“): განკურნა ყოველი ბოროტთა სენთაგან და **თითოსახეთაგან** სნეულებათა (მარკოზი, 1,34). იგი (ნაცვალსახელი **სხვადასხვა**) თავის საზღვრულს რაოდენობასთან ერთად გარკვეული ნიშნის – ნაირგვარობის – მიხედვითაც ახასიათებს, რაც არის მიზეზი იმისა, რომ საზღვრული (რომელსაც ის განსაზღვრავს) მრავლობითი რიცხვის ფორმითაც დასტურდება.

ვფიქრობთ, მსაზღვრელ ნაცვალსახელთან **სხვადასხვა** მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენილი საზღვრული დაშვებულ უნდა იქნეს მართებულ ვარიანტად.

|        |                                    |
|--------|------------------------------------|
| სახ.   | სხვადასხვა ქვეყანა// ქვეყნ-ებ-ი    |
| მოთხრ. | სხვადასხვა ქვეყანა-მ// ქვეყნ-ებ-მა |
| მიც.   | სხვადასხვა ქვეყანა-ს// ქვეყნ-ებ-ს  |
| ნათ.   | სხვადასხვა ქვეყნ-ის // ქვეყნ-ებ-ის |
| მოქმ.  | სხვადასხვა ქვეყნ-ით // ქვეყნ-ებ-ით |
| ვით.   | სხვადასხვა ქვეყნ-ად // ქვეყნ-ებ-ად |
| წოდ.   |                                    |

## რ უ ს უ დ ა ნ ზ ე ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

### დიალექტიზმებით შექმნილი მხატვრული სამყარო

(ზ. არსენიშვილის ერთი რომანის მიხედვით)

ქართული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლებისთვის ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო დამოკიდებულება

ხალხის ცოცხალ მეტყველებასა და დიალექტებთან. დიდი მწერლური ალღოა საჭირო, რომ შემოქმედებითი მიზნების შესაბამისად შეინარჩუნო ინდივიდუალური სტილი, დაიცვა სალიტერატურო ენა და ამასთანავე, არ მოსწყდე დიალექტის მასაზრდოებელ ნიადაგს. ასეთ ბეწვის ხიდზე რამდენიმე ქართველმა მწერალმა შეძლო ღირსეულად გავლა და სალიტერატურო ენას ახლებური სუნთქვა შთაბერა. მათ შორის უნდა დავასახელოთ ზაირა არსენიშვილი და მისი რომანი „ვა, სოფელო...“. მწერლის გამორჩეული ენობრივი ქსოვილი ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ ლიტერატურის კრიტიკოსებსა და ენათმეცნიერებს. მწერლის ენის სიმდიდრის უჩვეულო გამორჩეულობის გამო გ. ლობჯანიძემ ისიც კი აღნიშნა, რომ ეს რომანი ერთგვარი რეკვიემია ქართული ენისა (ზ. არსენიშვილის ამ ნაწარმოებში დიალექტიზმებისა და ლექსიკა-ფრაზოლოგიის შესახებ საინტერესო მოხსენება ჰქონდა ე. კოშორიძეს 2003 წელს 23-ე რესპუბლიკურ დიალექტოლოგიურ სესიაზე).

რომანის თემატიკა უკავშირდება XX საუკუნის საქართველოს 20-50-იანი წლების ტრაგიკულ პერიოდს: ბოლშევიკურ-კომუნისტური მმართველობის ხანას და იმ დროის რეპრესიებს. მოქმედება მიმდინარეობს თელავსა და მის ახლომახლო სოფლებში. პირველ პირში წარმართული თხრობა კახური (კერძოდ, თელავური) მეტყველების ნიმუშია.

როცა დიალექტიზმები ემორჩილება მწერლის მხატვრულ ჩანაფიქრს, ის ამდიდრებს მხატვრული ლიტერატურის ენას, ახალ სიცოცხლესა და ელფერს სძენს მას. კახური დიალექტისთვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებებიდან ზ. არსენიშვილი განსაკუთრებით ხშირად იყენებს ფონეტიკურ და მორფოლოგიურ დიალექტიზმებს: 1. **-ა** ხმოვნით გავრცობილ ფორმებს; 2. კახურისთვის დამახასიათებელ მიმართებებსა და საკუთარ სახელთა კნინობითაღერსობით წარმოებას; 3. სახელთა დიალექტურ ბრუნვის ფორმებს; 4. **გ**-ს ჩართვას სხვათა სიტყვის ნაწილაკის წინ; 5. **-ნ** ან **ენ**-ჩართულ და სხვა ზმნურ ფორმებს... ამას გარდა, მწერალი ცდილობს გადმოიტანოს კახური კილოს ინტონაციური თავისებურებაც (ხმოვნების გაორმაგების თუ სხვა ხერხების მოშველიებით) და სალიტერატურო ქართულისგან განსხვავებული მახვილებიც, რაც აცოცხლებს მე-20 საუკუნის დასაწყისის თელავურ ენობრივ კოლორიტს.

რომანი არაა გადატვირთული დიალექტური ლექსიკური ერთეულებით, მაგრამ, რაც გამოყენებულია, სპეციფიკურ ელფერსა და სიმსუყეს ანიჭებს სათქმელს. მაგალითად, არსებითი სახელები: **ბაუა** (ჩვილი), **ბალდოჯი** (ბალმწარა), **ოგური** (ჯიში, შთამომავლობა), **საფთხუნი** (შდრ. **საფთხული**, იგივე საფრთხოხობელა), **კვინტაკი** (ბებრული ახირება), **ხრალი** (ნორჩი ხის ქერქი თოვის დასაწნავად)... ზედსართავი სახელები: **პუპრუჭანა** (ნაოჭებიანი, შეპუჭპუჭებული), **ქარახინა** (უზარმაზარი), **დევერხანა** (ძალიან დიდი)... ზმნები: **აბოდმავებს** (ადარდიანებს), **დაიხვალეიბს** (ხვალისთვის გადადებს), **იხაფრება** (ადგილს აცდენს; გადატ. დაემდურება), **მოქნის** (ცომს მოზელს), **ნაშიყობს** (იყინებს)... მიმღეობები: აბუებული (ათვალწუნებული), **განარებული** (გაცეცხლებული, გაბრაზებული), **დაწერნაქებული** (აჭრელებული და უხეში), **ქარიფანტია** (ქარაფშუტა) და სხვ.

მწერლის ენას განსაკუთრებით ამდიდრებს ყოველდღიური ყოფისთვის დამახასიათებელი იდიომატური გამოთქმები: თხა გასუქდა და მგელს დამაჭიდეთო, თხის ტყავი მანძილზე თხად იქცაო, ფეხი უკან უდგება, ქვას სეტყვას ახვედრებს, შეადარე ვაშლი პანტას, ცხვირი პირისაგან არ მოიჭრებაო, წითელი ცხენი წითელ ტყავში მომკვდარიყო, ხალვათს დაიჭერს, ათაპაპიჯამისა (ანუ ძალიან ხნიერი) და ბევრი სხვა, რომლებსაც ნამდვილად სჭირდება უფრო ღრმად შესწავლა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ახალ რედაქციაში (ა-დან დ-ს ჩათვლით) ზ. არსენიშვილი დამოწმებულია 23-ჯერ, თუმცა ვფიქრობთ, ეს რიცხვი საბოლოოდ გაცილებით გაიზრდება: **ამწკრივებს**, **ასვენია**, **ბალდოჯი**, **ბატიბუტი**, **ბერიპაპა**, **ბიბინა**, **ბროწი**, **გადაბრჯნით**, **გადაშავებული**, **გამოგორდება**, **გაპენტილი**, **გასაქანებელი**, **გაცამტვერდება**, **გახეგება**, **გაჯახირებული**, **გზაკვალარეული**, **გიყმაჟი**, **დალაჩრებული**, **დამუწვა**, **დამუწული**, **დაქადნება**, **დარბეული**, **დაუხალავს** და სხვ. ამათგან მხოლოდ მწერლისეული დამოწმება ახლავს შემდეგ სიტყვებს: **ბალდოჯი**, **გადაბრჯნით**, **დაუხალავს**.

ზაირა არსენიშვილის რომანის ენა მრავალფეროვანი და მდიდარია, პერსონაჟთა მეტყველებაში ზომიერადაა შეზავებული კახური დიალექტის მომხიბვლელობა და კოლორიტი, იგრძნობა დიდი ექსპრესია და ემოცია. საბოლოოდ კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ხალხის წიაღში არსებული სიმდიდრე არის შემოქმედის უშირე-

ტი წყარო. ზაირა არსენიშვილს არსად არ ღალატობს ენობრივი ალ-ლო, დახვეწილი გემოვნება და ნიჭიერება, რამაც შესაძლებლობა მი-სცა შეექმნა რომანის გასაოცრად მდიდარი ენობრივი სამყარო.

მ ა კ ა თ ე თ რ ა ძ ე

## **პასუხისმგებლობიანი ბიზნესი და ადამიანი**

**პასუხისმგებლასა** და მის დერივაციულ ფორმებს ძველ ქართულ-შივე აქვს როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობა. თა-ნამედროვე ქართულში **პასუხისმგება** და **პასუხისმგებელ-ი** მეტად გა-ვრცელდა გადატანითი მნიშვნელობით (რომელიც ახლა ძირითადი მნიშვნელობაა) და ახალი დერივაციული ფორმებიც მივიღეთ: **პასუ-ხისმგებლ-ობ-ა**, **სა-პასუხისმგებლ-ობ**. ბოლო წლებში სხვა დერივაცი-ული ფორმებიც სინონიმურად იხმარება: **პასუხისმგებლიანი**, **პასუ-ხისმგებლობიანი**, **პასუხისმგებლური**. კორპუსული კვლევა გვიჩვენებს, რომ ხშირად მათი პარალელურად ხმარება ერთსა და იმავე კონტექსტში ერთი და იმავე შინაარსით ტექსტის ავტორის პირადი არჩევანია. ქართული ენის ეროვნულ კორპუსში ლემა **პასუხისმგებ-ლიანის** 147 შემთხვევაა, მათ შორის, სამი, ყველაზე ხშირი კოლოკა-ციაა: **პასუხისმგებლიანი ოპოზიცია**, **პასუხისმგებლიანი ხელისუფ-ლება**, **პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილება**; **პასუხისმგებლურის** გამოყენების 53 კონტექსტი დავითვალეთ, მათ შორის, ყველაზე ხში-რი კოლოკაციებია: **პასუხისმგებლური დამოკიდებულება**, **პასუხის-მგებლური გადაწყვეტილება**, **პასუხისმგებლური რეაქცია**; ხოლო ლემა **პასუხისმგებლობიანი** 21 შემთხვევაში გვხვდება, მათ შორის, სიხშირით პირველ სამეულშია შემდეგი შესიტყვევები: **პასუხის-მგებლობიანი ძალები**, **პასუხისმგებლობიანი პარტნიორი**, **პასუხის-მგებლობიანი ქმედება**.

სამივე ფორმა მსგავსი შინაარსით გვხვდება სამართლებრივ დოკუმენტებშიც. მეტად გავრცელებულია ლემა **პასუხისმგებლიან-ი** (23 მოქმედი დოკუმენტი): „იგი კვლავ დარჩეს სახელმწიფოს და მი-სი ინსტიტუტების მიერ გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი ზე-



დამხედველობის ქვეშ“ (<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2298980?publication=0>) მიღების თარიღი: 2013 წ).

თუ შევადარებთ ამ სამი სიტყვის (**პასუხისმგებლური, პასუხისმგებლიანი, პასუხისმგებლობიანი**) გამოყენების კონტექსტებს, ჩანს, რომ თითოეული, ძირითადად, ერთი თვისების გამოხატვას ემსახურება.

ვფიქრობთ, ზემოთ ხსენებულ კონტექსტში **პასუხისმგებლობიანი (პასუხისმგებლიანი, პასუხისმგებლური)** გაჩნდა მას შემდეგ, რაც გავრცელდა ცნება „სოციალური პასუხისმგებლობა“ და მისი თეორიული ჩარჩო (social responsibility); „სოციალური პასუხისმგებლობა“ პიროვნებას ავალდებულებს, რომ იმუშაოს და ითანამშრომლოს სხვა პირებსა და ორგანიზაციებთან საზოგადოების სასარგებლოდ. შესაბამისად, არსებობს „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“, რომელიც ასევე შეცდომით „კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის“ სახელითაა ცნობილი (SCR – კსკ). იგი გულისხმობს ახალ მმართველობით სტრატეგიებს, რომლებითაც კომპანიები ცდილობენ საზოგადოებაზე დადებითი გავლენის მოხდენას ბიზნესის წარმოებისას.

ბიზნესის სფეროში უფრო გამოიყენება ტერმინები **პასუხისმგებლიან-ი/პასუხისმგებლობიან-ი (ურ-**იანი ფორმა არ გვხვდება).

როგორც ვიცით, **-იან** სუფიქსი, ძირითადად, გამოხატავს საგნობრივ ქონა-ყოლას, მაგრამ გადააზრიანებისას შეიძლება თვისებაც გამოხატოს: ჭკვიანი, გულიანი (ჯორბენაძე, ბერიძე, კობაიძე, მორფემათა ლექსიკონი). მიმღეობებთან, ჩვეულებრივ, არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით წარმოშობით მიმღეობურ ფორმებს: სარქველი – სარქველიანი, სარგებელი – სარგებლიანი, სასყიდლიანი (ეს უკანასკნელი ხელოვნური ფორმაა და სასყიდლის ანუ გასამრჯელოს ფასის მქონეს ნიშნავს – ქველი).

**პასუხისმგებელ-ში**, ჩანს, რომ „მგებელი“ ჯერ კიდევ მიმღეობურ თვისებას არ კარგავს, შდრ. პასუხსაგები, პასუხსაგებელი. შესაბამისად, **-იან**-სუფიქსიანი დერივაცია უმართებულოა.

რაც შეეხება **-ობა** სუფიქსიანი წარმოების სახელებზე **-იან**-ის დართვას თვისების ქონის გამოსახატავად, მისაღები ჩანს. შდრ.: ზრდილობა – ზრდილობიანი, კეთილზნეობა – კეთილზნეობიანი, მნიშვნელობა – მნიშვნელობიანი და მისთ.

შესაბამისად, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, **პასუხისმგებლობიანი** ბუნებრივად ნაწარმოები ფორმაა, მისი გამოყენება პასუხისმგებლობის გრძნობის მქონის შინაარსით – გამართლებული, განსაკუთრებით ბიზნესის სფეროში, სადაც **პასუხისმგებლობიანი**-ი კონკრეტულად სოციალური პასუხისმგებლობის მქონეს ნიშნავს. ტერმინთა უნიფიცირებისათვის, ვფიქრობთ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს **პასუხისმგებლობიანს** და ოფიციალურ დოკუმენტებშიც სხვა, უმართებულო ფორმები ამ ფორმამ ჩაანაცვლოს.

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

### **ხან ფუძის შემცველ კომპოზიტურ ზმნისართთა მართლწერისათვის**

საყურადღებო ჩანს ერთი არცთუ ისე მცირე ჯგუფი კომპოზიტებისა, რომლებშიც გამოყენებულია ფუძე **ხან**. ის ერთ შემთხვევაში თავში ერთვის კომპოზიტს, ხოლო სხვა შემთხვევაში – ბოლოში.

დაწერილობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი შემთხვევები, როცა **ხან** რთული სიტყვის მეორე კომპონენტია და კომპოზიტი მთლიანობაში ზმნისართის ფუნქციას ასრულებს.

აღსანიშნავია, რომ „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ **ხან** ფუძის შემცველი კომპოზიტების ერთი ნაწილი გათვალისწინებულია ერთად დაწერილობით. ეს ზმნისართული კომპოზიტებია:

**(ბევრხანს //) დიდხანს** (ქელი 1998: 90)

**ერთხანს** (იქვე: 270)

**მეტხანს** (იქვე: 343)

თანამედროვე ქართულში (მწერლობასა თუ პრესაში) ზემოთ დასახელებული კომპოზიტები გვხვდება როგორც ერთად, ისე ცალცალკე დაწერილობით: „აღტაცებული დადიოდა **დიდხანს**, მაგრამ გზად სხვა ქალი შემოეყარა“ (გ. დოჩანაშვილი), შდრ.: „**დიდ ხანს** ეგ-

დო ბალახებში გაბრუებული, გონება-გაფრენილი, გარინდული“ (მ. ჯავახიშვილი); „ამის შემდეგ ოპოზიციის ლიდერი თვეზე **მეტხანს** საავადმყოფოში იმყოფებოდა“ (tavisufleba.org), შდრ.: „მეამბოხეები წელიწადზე **მეტხანს** აკონტროლებდნენ ჰომსის ცენტრს“ (tavisufleba.org), შდრ.: „კიდევ ორ წელზე **მეტ ხანს** იცოცხლა შაჰ-თამაზმა“ (ლ. სანიკიძე); „**ერთხანს** მიყურა, გაუბრწყინდა სახე და ჯიბისკენ წაიღო ხელი“ (გ. დოჩანაშვილი), შდრ.: „ყურმა **ერთ ხანს** უნდილად ჰყეფავს ქვეიდან და შემდეგ ლამობს ჯავრი ციყვზე იყაროს“ (მ. ჯავახიშვილი)...

როგორც ითქვა, ლექსიკური ერთეულები – **დიდხანს**, **ერთხანს** და **მეტხანს** ქეოლში გათვალისწინებულია ერთად დაწერილობით. **ხანი** ცალკე სიტყვად დაიწერება იმ შემთხვევაში, როდესაც ის საზღვრულის ფუნქციას ასრულებს, მაგ.: **დიდი ხანი**, **დიდმა ხანმა...** **ერთი ხანი**, **ერთმა ხანმა... მეტი ხანი**, **მეტმა ხანმა...**

მიცემითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი მსაზღვრელ-საზღვრული (**დიდ ხანს**, **მეტ ხანს...**) ძირითადად ზმნისართის ფუნქციით გამოიყენება. ასეთ შემთხვევებში ის ერთად უნდა დაიწეროს (**დიდხანს** გელოდი...).

„ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ ყურადღებას იქცევს აგრეთვე **ცოტა ხანს**, რომელიც ცალ-ცალკე დაწერილობითაა წარმოდგენილი.

თანამედროვე მწერლობაში (თუ პრესაში) **ცოტა ხანს** დასტურდება ორივე ვარიანტი: „ტყის პოეტი **ცოტა ხანს** სდუმდა, შემდეგ სახეზე ცულლუტი ღიმილი აისახა“ (მ. ჯავახიშვილი); „**ცოტა ხანს** ვიჯექი ასე, გული საშინლად მიცემდა“ (ნ. დუმბაძე), შდრ.: „დავით მეფემ **ცოტახანს** იყოყმანა, მაგრამ, ბოლოს, მაინც დათანხმდა“ (ლ. სანიკიძე); „**ცოტახანს** მეტად შევიწუხოთ თავი...“ (primetime.ge)...

ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების მიერ 2016 წელს გამოცემულ ნაშრომში – „მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“ – **ცოტა ხანს** შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: **ცოტა ხანს** (მას შემდეგ ძალიან **ცოტა ხანს** გაველო), მაგრამ: **ცოტახანს** დამელოდე, რაც იმას ნიშნავს, რომ ზმნისართის ფუნქციით **ცოტახანს** ერთად უნდა დაიწეროს.

## ლეზგიურ ლიტერატურულ ენათა შესახებ

ლეზგიურ ენათა ქვეჯგუფი დადესტური ენების სამხრეთი განშტოებაა. იგი ამჟამად ათი ენისაგან შედგება (ლეზგიური, თაბასარანული, ალულური, რუთულური, წახური, კრიწული, ბუდუხური, არჩიბული, უდიური და ხინალუღური), თუმცა ლეზგიურ ენათა ქვეჯგუფს ძველი დამწერლობის მქონე კავკასიის ალბანური ენაც მიეკუთვნებოდა.

ლეზგიურ ენებზე მოლაპარაკეთა რაოდენობა სულ მცირე 900 ათასს კაცს შეადგენს. ლეზგიური ენები ძირითადად გავრცელებულია დადესტნის სამხრეთ ნაწილსა და აზერბაიჯანის ჩრდილოეთში. ოდენ დადესტანშია გავრცელებული თაბასარანული, ალულური და არჩიბული ენები, მხოლოდ აზერბაიჯანში – კრიწული, ბუდუხური და ხინალუღური ენები, ხოლო ლეზგები, რუთულები და წახები მკვიდრობენ როგორც დადესტანში, ისე აზერბაიჯანში. კიდევ ერთი ლეზგიური ეთნოსი – უდიები – ბოლო დრომდე სახლობდა ასევე ორი სახელმწიფოს ტერიტორიაზე – აზერბაიჯანსა და საქართველოში. დღეს უდიების განსახლების არეალი კიდევ რამდენიმე ქვეყანას მოიცავს.

სულ ბოლო დრომდე მხოლოდ ორ ლეზგიურ ენას ჰქონდა ლიტერატურული ენის სტატუსი – ლეზგიურსა და თაბასარანულს. XX ს-ის 80-იანი და 90-იანი წლების მიჯნაზე შეიქმნა კიდევ სამი ენის დამწერლობა – ალულურის, რუთულურისა და წახურის. ხუთივე ენა დადესტნის სახელმწიფო ენადაა აღიარებული, ხუთივეზე მიმდინარეობს დაწყებითი სწავლება სკოლაში (შემდეგ მხოლოდ ერთ-ერთ საგნად რჩება). ისწავლება უმაღლეს სკოლაშიც (დადესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დადესტნის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი), ხუთივეს დათმობილი აქვს დრო დადესტნის ტელევიზიასა და რადიოში, გამოიცემა როგორც ორიგინალური, ისე თარგმნითი ლიტერატურა (ეს განსაკუთრებით ლეზგიურზე ითქმის), გამოდის გაზეთები.

ლიტერატურული ლეზგიური კიურული კილოს გიუნეურ დიალექტს ეფუძნება. ლეზგიური ენის წერილობითი ფიქსაცია XVIII საუკუნის II ნახევრიდან იწყება. მოგვეპოვება არაბული გრა-

ფიკით XVIII-XIX საუკუნეებში შესრულებული რამდენიმე პოეტური ტექსტი. არაბული გრაფიკა (ე. წ. აჯამი) ლეზგიურისთვის XX საუკუნის 20-იან წლებამდე გამოიყენებოდა. ლეზგიური დამწერლობა 1928 წელს შეიქმნა ლათინური გრაფიკის საფუძველზე. თუმცა მანამდეც იყო ორი ცდა არაბული გრაფიკის საფუძველზე ნორმირებული ანბანის შექმნისა. ორივე დაღესტნის გასაბჭოების შემდეგ განხორციელდა. დღეს მოქმედი ანბანური სისტემა სლავურ გრაფიკას (კირილიცას) ემყარება და შემოღებულია 1938 წელს.

სალიტერატურო თაბასარანული სამხრულ კილოს ეფუძნება. დამწერლობა შემოღებულია 1932 წლიდან, თავდაპირველად ლათინური გრაფიკის, 1938 წლიდან კი – სლავურის საფუძველზე.

თაბასარანულ ენაზე აჯამით შესრულებული პირველი ხელნაწერი 1614 წლით თარიღდება. ამას გარდა, ცნობილია სხვა XVII-XIX სს. შესრულებული ხელნაწერები თაბასარანულ ენაზე, რომლებიც რელიგიურ ტექსტებს, სიმღერებსა და ქრონოლოგიურ სიებს შეიცავენ.

წახური დამწერლობა თავდაპირველად შეიქმნა 1934 წელს ლათინური გრაფიკის საფუძველზე (იარსება მხოლოდ ოთხი წლის მანძილზე), ხოლო 1989 წელს შემუშავებულ იქნა ანბანი, რომელიც სლავურ გრაფიკას დაეფუძნა. აზერბაიჯანში 1996 წლიდან მოქმედებს ანბანი ლათინური გრაფიკის საფუძველზე. ძველად წახები არაბულ გრაფიკას იყენებდნენ. ამის შესახებ მეტყველებს ის, რომ სოფ. წახურში აღმოჩნდა საფლავის ქვა ეპიტაფიით წახურ ენაზე. წარწერა დათარიღებულია 1377 წლით.

ადულური და რუთულური დამწერლობები შეიქმნა 1990 წელს სლავური გრაფიკის საფუძველზე. 2013 წელს აზერბაიჯანში მცხოვრებ რუთულთათვის შემუშავდა ანბანი ლათინურ გრაფიკულ საფუძველზე. გასაბჭოებამდე რუთულში იყო გავრცელებული არაბული დამწერლობა. ცნობილია აჯამით ჩაწერილი XVIII ს-ის აშუღის ქორ რაჯაბის სიმღერის ტექსტი იხრეკულ დიალექტზე.

აგრეთვე იყო დამწერლობის შექმნის მცდელობები უკლებლივ ყველა დანარჩენი ლეზგიური ენისათვის, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ვერცერთმა მათგანმა სათანადოდ ფეხი ვერ მოიკიდა.

## უცხოურ სახელწოდებათა უმართებულოდ გამოყენების ერთი შემთხვევისათვის

თანამედროვე ქართულში განსაკუთრებით იმატა უცხო ენებიდან შემოსული ლექსიკური ერთეულების უმართებულოდ გამოყენების შემთხვევებმა. მათ შორის აღსანიშნავია ფუძის სახით წარმოდგენილი თანხმოვანფუძიანი უცხოენოვანი სახელწოდებანი, რომლებიც სახელობითი ბრუნვის ფუნქციას ასრულებენ, მაგალითად:

**აის-ვოჩ<sup>1</sup> – ice-wotch** (რუსთაველის გამზ. №40); **აუტოქომ ჯაპან** (ბულაჩაურის ქ. №2); **აფინოქს** (მარკეტი); **ზარბექიუ ქიჩენ** (პეკინის ქ. №4); **ზორუსან** (ამერიკის საელჩოსთან); **ელეგანტ რუმ** (ჭავჭავაძის გამზ. №34); **ენზა ჰოუმ** (მაღაზია აღმაშენებლის ხეივანში); **ესთეტიქ ქორნერ** (ბულაჩაურის ქ. №2); **ვენდის** (კვების ობიექტი ტექნიკური უნივერსიტეტის I კოპუსის გვერდით); **ვოგვ** (პეკინის ქ. №5); **ნაით ჰაუს** (მარშალ გელოვანის გამზირზე); **კელებევ** (აღმაშენებლის ხეივანი); **ლავ რეფაბლიქ – LOVE REFABLIC** (რუსთაველის გამზ. №20); **ლითლ ვან** (ჭავჭავაძის გამზ. №9); **ლოფთ ჰოსელ – LOFT HOSEL** (რუსთაველის გამზ. №36); **ლორის – LORIS** (რუსთაველის გამზ. №26, სუნამოები); **მისტერ ქუუქ** (ლესია უკრაინკას ქ. №5); **ნექსთ** (ბიზნესცენტრი ჭავჭავაძის გამზირზე); **ოფენ დოორ** (წერეთლის გამზირზე) და მისთ.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება მართლწერის რეკომენდაციები ზემოდასახელებულ სახელწოდებებთან დაკავშირებით.

---

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვები (სახელწოდებები) ქართულში ერთად უნდა დაიწეროს (მაგ.: შაურმაჰალსი...), რადგან თარგმანის გარეშე ისინი ერთ საკუთარ სახელს, ოდენობას წარმოადგენენ. მათ ორსიტყვიანი კომპოზიტის ან შესიტყვების გაგება არ გააჩნია (იხ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, წიგნი მეთექვსმეტე, თბ., 2016, გვ. 80-86, ვ. მაღრაძე, „ნასესხები შესიტყვება-კომპოზიტები, მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ მიხედვით“), ხოლო თუ ქართული თარგმანით წარმოვადგენთ (მაგ.: შაურმის სახლი), მაშინ, ბუნებრივია, ცალ-ცალკე დაიწერება.

## მ ა რ ი ა მ ო რ კ ო დ ა შ ვ ი ლ ი

### **ლინგვისტური ინტერფერენცია – ენის განვითარების ევოლუციური სტადიები თუ ენობრივი რეგრესი?**

სოციალური მედიისა და პლატფორმის კომუნიკაცია ზეგავლენას ახდენს თანამედროვე ენის არა მხოლოდ მეტყველებისა და წერის კულტურაზე, არამედ ყოველდღიურ კომუნიკაციასა და აკადემიურ-სამეცნიერო ჟანრზეც. ამის შედეგად თანამედროვე სამეცნიერო დისკურსიც კი საგრძნობლად ინტერაქტიური და უშუალო გახდა.

ამ პროცესს ხელს უწყობს სწრაფი ინტერაქტიური კომუნიკაცია სოციალური მედიის პლატფორმის გამოყენებით, შეტყობინებების სწრაფი გავრცელება, მკითხველთა სწრაფი რეაგირება და საპასუხო შეტყობინების მიღება. ეს ინფორმაციული დინამიზმი კომუნიკაციაში – ვერბალურ საშუალებებთან ერთად – ვიზუალურ, გრაფიკულ და აუდიოსაშუალებებსაც იყენებს და კომუნიკანტებს ე. წ. *საინფორმაციო ომში* ითრევს.

კვლევაში გამოყენებულია მულტიმედიური დისკურსის ანალიზის მეთოდი. მონაცემები მოპოვებულია სოციალური მედიის პლატფორმებიდან: ფეისბუკიდან, ინსტაგრამიდან, ვებინარებიდან და ა. შ. სოციალურ პლატფორმებსა და აკადემიურ დისკურსებში ხშირად დასტურდება შემდეგი ლექსიკური ერთეულები თუ შესიტყვებანი:

- დაარესტარტე;
- დაააფდეითე;
- ფაილები გაგვიშეარეთ / ეკრანი გაგვიშეარეთ;
- ფაილების აფლოუდი გააკეთა – დოკუმენტები ატვირთა;
- Chill = cool = მაგარია;
- High key = feel great = კარგ გუნება-განწყობაზე ყოფნა (მაღალ ნოტებზე);
- Up = მეც ჩამრთეთ სიაში;
- ყველამ გააშეარა ფაილები, დოკუმენტები, მონაცემები;
- Vibes = aura, atmosphere = განწყობა, ვაიბები;
- Student vibes = სტუდენტური განწყობები;

- Vibe check = განწყობების შემოწმება ვაიბებით, კომენტარებით.

ზემოჩამოთვლილის გარდა აღინიშნება შემდეგი სახის ლინგვისტური ცვლილებებიც:

- მეტყველების სწრაფი ცვლილება;
- წინადადებების შემოკლება / გამარტივება / ellipsis;
- სიტყვების შემოკლება / აკრონიმები;
- ვერბალურიდან გრაფიკულ კომუნიკაციაზე გადასვლა;
- საუბრის სწრაფი ტემპი;
- დინამიზმი.

აქვე უნდა აღინიშნოს ენობრივი ინტერფერენციის პრობლემა, ანუ როდის და რა შემთხვევაში შეიძლება დამკვიდრდეს ენაში უცხო ენიდან შემოსული ლინგვისტური ერთეული და როდის უნდა აიკრძალოს ის – როგორც ბარბარიზმი ან კალკი? აგრეთვე დაისმის კითხვები: ეს პროცესი ენის დამახინჯებაა თუ – პირიქით – ევოლუციისა და პროგრესის ჩვეულებრივი შედეგი? ჟანრული ნორმების რღვევაა თუ ბუნებრივი ევოლუციის პროცესი? ეს ცვლილებები მხოლოდ სოციალურ მედიებს ახასიათებს თუ სხვა ჟანრებსაც?

ერთი რამ კი უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე დასავლური ლინგვისტიკა უფრო დესკრიფციულია, ვიდრე ნორმატიულ-პრესკრიფციული. მეცნიერები აღწერენ და აფიქსირებენ ყველა სოციალური, გეოგრაფიული, ეთნიკური თუ პროფესიული ჯგუფების და მათი წარმომადგენლების საუბრებს და უცხო ენიდან შემოსულ ახალ ლინგვისტურ ერთეულებს.

## თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

### **ატრიბუტული მსაზღვრელის შემცველ ერთი სახის კომპოზიტა მართლწერისათვის**

მრავალფეროვან კომპოზიტა შორის მართლწერის თვალსაზრისით საინტერესო სურათს გვიჩვენებს ზედსართავებისგან შე-



დგენილი ერთი ტიპის რთული სახელები, რომელთა პირველი კომპონენტი მეორის მსაზღვრელია და უმთავრესად წარმოდგენილია შემდეგი ერთეულებით: **ვიწრო, კერძო, საერთო, ცრუ, წინა, შიგა, შიდა...**, მეორე ნაწილი კი მიღებულია **-ურ/-ულ, სა-ო, -ებრივ ან -ობრივ** მაწარმოებლებით. მაგ., **ვიწროპარტიული** ინტერესები, **კერძოსამეურნეო** მიწა, **საერთოქართველური** ენები, **ცრუეროვნული** პათოსი, **წინასაანზანო** პერიოდი, **შიგამიგრაციული** პროცესები, **შიდასტრუქტურული** ცვლილებები...

მიუხედავად იმისა, რომ ჩამოთვლილთაგან ზოგი სიტყვის მართლწერა უკვე გარკვეულია ორთოგრაფიულ ლექსიკონებში, მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრაქტიკული გამოყენებისას (კორპუსული მონაცემების მიხედვით) მაინც შეინიშნება სიჭრელე: გვხვდება როგორც ორ სიტყვად, ისე კომპოზიტებად (დეფისით თუ უდეფისოდ) დაწერის შემთხვევები.

ზემოხსენებულ რთულ სახელებში უდავოა, რომ სიტყვამაწარმოებელი აფიქსი ეკუთვნის მხოლოდ ბოლო ერთეულს. შესაბამისად, ამგვარ სიტყვათა დაწერილობის საკითხს დერივაციული ელემენტის არსებობა ვერ გადაგვაწყვეტინებს. ხაზგასასმელია ისიც, რომ აღნიშნული მაგალითებისთვის არ გამოგვადგება კომპოზიტთა მართლწერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად მიჩნეული ცნებიანობაც, რადგანაც მიღებული ერთეულები ერთზე მეტცნებიანია, თუმცა ამავდროულად შემადგენელ კომპონენტებს შორის „და“ კავშირის ჩასმა შეუძლებელია.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ „და“ კავშირის ჩასმის შესაძლებლობის არსებობა-არარსებობა უფრო რელევანტური ნიშანია რთულ სიტყვათა მართლწერისათვის.

ამრიგად, ორცნებიანობის მიუხედავად, ჩვენთვის საინტერესო რთული სახელების ერთ სიტყვად (უდეფისოდ) დაწერას მეტი გამართლება უნდა ჰქონდეს. ამას ემატება ისიც, რომ **ზედასართავი სახელი + ზედსართავი სახელი** მიმდევრობა სხვა სიტყვის მსაზღვრელად გვევლინება. თ. უთურგაიძის დებულების მიხედვით, „თუ რთულ სიტყვაში **ზედასართავი სახელი + არსებითი სახელი**, ან **არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი** თანამიმდევრობა შეიძლება სხვა სიტყვის მსაზღვრელადაც იქნეს გამოყენებული, მათ შორის დეფისი არ დაიწერება“ (ქსკს, წ. 13, თბ. 2013, გვ. 40). შესაბამისად, თუ ანალოგიურად მივუდგებით საკითხს, წესი შემდეგნაირ სახეს

იძენს: ზედსართავი სახელებისგან შედგენილი რთული სიტყვა დაიწერება უდევისოდ, თუ მისი პირველი კომპონენტი მეორის მსაზღვრელია, მათ შორის „და“ კავშირის ჩასმა შეუძლებელია და იგი (კომპოზიტი) გამოიყენება სხვა სიტყვის მსაზღვრელად.

## ლი ა ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე

### **ტერმინოლოგიური პოლიტიკა და თანამედროვე ქართული ენა**

რატომ ჩამორჩა ქართული ლექსიკოგრაფია-ლექსიკოლოგია ციფრულ ეპოქას? რატომ არ არის ქართული ენა ჩართული ევროპის ტერმინოლოგიურ ბაზებში? – ამას მხოლოდ ერთადერთი მიზეზი აქვს: შეუთანხმებელი მუშაობა, ენისა და ტერმინოლოგიური კვლევების არასწორი დაგეგმარება. როგორც ცნობილია, ენის განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტერმინოლოგიური მუშაობის სწორად წარმართვას, ეს კი გულისხმობს ორ უმთავრეს საკითხს:

1. სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებულ ტერმინოლოგიურ მუშაობასა და
2. ტერმინოლოგიური მუშაობის მართვას, კოორდინაციას, რომელიც გამორიცხავს ქვეყანაში პარალელურ მუშაობას.

პირველი მეცნიერთა მუშაობაზეა დამოკიდებული, მეორე კი – სახელმწიფოს ნებაზე, ენობრივ პოლიტიკაზე. საბედნიეროდ, საქართველოს აქვს ენის კვლევითი ინსტიტუტი, რომელმაც, მიუხედავად მრავალი სირთულისა, შეინარჩუნა და განაგრძო სამეცნიერო კვლევების ტრადიცია. ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის, კოორდინაციის ეროვნული პროგრამა კი ისევ არა გვაქვს. პარალელური მუშაობა პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ ქვეყანაში სწორი ტერმინოლოგიური პოლიტიკა ისევ არ არსებობს.

საქართველოში ტერმინოლოგიური მუშაობის წინაშე მრავალი სირთულეა, რომლებიც თანდათან დაგროვდა ამ წლების განმავლობაში. ცხადია, დღეს ადვილია შეცდომების დანახვაც და გაანა-

ლიზებაც. უპირველესად, საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე საჭირო იყო შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

1. საბჭოთა სტანდარტებიდან ევროპულ ტერმინოლოგიურ სტანდარტებზე გადასვლა;
2. ტერმინოლოგიური მართვის პოლიტიკისა და მმართველი, ცენტრალური ორგანოს გამოკვეთა (ასეთად ისევ ენათმეცნიერების ინსტიტუტის აღიარება და მისთვის ხელშეწყობაც, ცხადია, საკმარისი იქნებოდა);
3. ბეჭდური ტერმინოლოგიური ლექსიკონების გაციფრულება;
4. ტერმინთა ქართულ-ინგლისური შესატყვისების დადგენა (ჰარმონიზაცია);
5. ახალი დარგების ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექმნა;
6. თეორიულ საკითხებზე მუშაობის გაგრძელება;
7. ტერმინთბანკის მასალასა და პროგრამებზე მუშაობა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ენათმეცნიერების ინსტიტუტი თანდათან კარგავდა ტერმინოლოგიური მუშაობის წარმმართველის ფუნქციას და საქართველოში ქრებოდა ნორმატიული, სტანდარტიზებული ტერმინოლოგიის ცნება. საბოლოოდ, ცხადია, პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში ტერმინოლოგიური პოლიტიკის არარსებობამ უმძიმესი პრობლემები წარმოშვა ტერმინოლოგიაში, ენაში. ამ წლების სირთულეებს ისიც დაემატა, რომ დაიწყო პროექტების შეუთანხმებელი დაფინანსება. ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს აკეთებდა ყველა, ვინც კი დაფინანსებას მოიპოვებდა იმის მიუხედავად, პროექტის ავტორებს მანამდე ჰქონდათ თუ არა მსგავსი გამოცდილება. ენათმეცნიერების ინსტიტუტს არავინ უთანხმებდა პროექტებს, შესაბამისად, ამ უმართავ პროცესში ბევრი უშედეგო და პარალელური სამუშაო შესრულდა, შეიქმნა მრავალი ლექსიკონი, რომლებშიც, ცხადია, არ არის ერთგვაროვნება. დღეს ყველასათვის ადვილად შესამჩნევია შეუთანხმებელი ტერმინოლოგიური მუშაობის შედეგები: განსხვავებული, გაუმართავი ტერმინები სახელმძღვანელოებში, საქმისწარმოებაში, კანონებში, სალიტერატურო ენაში.

ქართულ ენასა და ტერმინოლოგიაში არსებული სირთულეების გაანალიზებამ, კვლევამ და დასკვნებმა მტკიცედ გადაგვაწყვეტინა რთული, მაგრამ, ჩვენი აზრით, ერთადერთი სწორი გზის არ-

ჩევა – ქართული ტერმინთბანკის შექმნა, რომელსაც სწორედ ამ მრავალგვარი სირთულის მოგვარება დავაკისრეთ. მისი ფუნქციები ჩამოყალიბდა კონკრეტული პრობლემების მოსაგვარებლად. ამ რთული ვითარების გათვალისწინებით ქართული ტერმინთბანკი ევროპული ტერმინთბანკებისგან განსხვავებული პრინციპებითაა შექმნილი. ქართული ტერმინთბანკი ივსება ახალი მასალით, რომლის შესწავლა-დამუშავებით იგი გახდება ნორმატიული ლექსიკონების შექმნის უმნიშვნელოვანესი საფუძველი, წყარო, ნორმატიული ტერმინოლოგიური ლექსიკონები კი თანამედროვე ციფრულ სამყაროში ქართული ენის ადგილის განმსაზღვრელია.

## მ ე დ ე ა ლ ო ნ ტ ი

### **„ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ სიტყვანისათვის (საკითხის დასმის წესით)**

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებაში მზადდება „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის“ ახალი – შევსებული და გადამუშავებული რედაქცია, რომლის **სიტყვანისათვის** მოხსენებაში ცხრილის სახით წარმოვადგენთ შესავსებ სალექსიკონო მასალას (მის ნაწილს).

ცხრილის **პირველ სვეტში** განთავსებულია ის შესავსები სალექსიკონო ერთეულები, რომლებიც **არ აისახება** ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონების წინარე გამოცემებში, **მეორე სვეტში** კი წარმოვაჩინთ შესავსებ სალექსიკონო ერთეულთა იმ ჯგუფს, რომელიც **ასახულია** „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ძველსა და ახალ რედაქციებში.

**ორივე სვეტში** სალექსიკონო ერთეულთა ნაწილს, სარწმუნოობისათვის, ერთვის ზემოდასახელებულ ლექსიკონებში აღბეჭდილი შესაბამისი ორთოგრაფიულ-ლექსიკოგრაფიული ინფორმაცია – სათანადო განმარტებითი ხასიათის კომენტართურთ.

## **ყაზარდოულ-ჩერქეზული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის**

ყაზარდოულ-ჩერქეზული (ყაზარდოული) ენა ახალდამწერლობიანი ენაა. მიუხედავად ამისა, გამოჩენილი ჩერქეზი მეცნიერის, ჩვენი აკადემიის უცხოელი წევრისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, პროფ. მ. კუმახოვის აზრით, ენაში ისეთი საკუთარი ლექსიკური ერთეულების არსებობა, რომლებიც აღნიშნავენ „წერას“, „დამწერლობას“ და „წიგნს“, მოწმობს, რომ ჩერქეზებისათვის დამწერლობა უკვე ადრეულ საუკუნეებში იყო ცნობილი, კერძოდ, საქმე ეხება ბერძნულ დამწერლობას, რომელიც გამოიყენებოდა მღვდელმსახურებისათვის.

ჩვენი მხრივ გვინდა დავამატოთ, რომ, ბიზანტიასთან ერთად, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელება საქართველოს მემკვიდრეობის ხორციელდებოდა. ამას მოწმობს თუნდაც ქართულიდან შეთვისებული „ჯვრის“ სახელწოდება.

ყაზარდოული ენის (resp. ჩერქეზულ ენათა) ლექსიკის პირველი ფიქსაცია (ლათინური ანბანის საშუალებით) ეკუთვნის ევროპელ მოგზაურებსა და მისიონერებს, ხოლო სისტემური ხასიათის ჩანაწერები – გერმანულ მეცნიერებს: ი. გიულდენშტედსა და ი. კლაპროტს.

XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ჩერქეზი განმანათლებლები და უცხოელი მკვლევრები ლათინური, რუსული თუ არაბული გრაფიკის საფუძველზე ქმნიან ყაზარდოულ ანბანებს, მაგრამ მათ დიდი გავრცელება არ ჰქონიათ.

1923-1935 წლებში ყაზარდოული ანბანი ემყარებოდა ლათინურ გრაფიკას. 1935 წლიდან გამოიყენება რუსულ გრაფიკაზე დამყარებული ანბანი.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ყაზარდოულ-ჩერქეზული სალიტერატურო ენის საყრდენ დიალექტად საბოლოოდ გამოიკვეთა დიდი ყაზარდოს მეტყველება – ბაქსანის დიალექტი; ამ დიალექტზე მეტყველთა რაოდენობა აღემატება სხვა ყაზარდოულ კილოებსა და კილოკავებზე მეტყველთა საერთო რაოდენობას, ამას-

თან, ფონეტიკური თვალსაზრისით ის უფრო მარტივია. სალიტერატურო ენა, როგორც აღნიშნავენ, მთლიანად არ ემთხვევა საყრდენ დიალექტს.

## მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

### **ლექსიკური ენობრივი დონე – როგორც რთულ ენობრივ ტენდენციათა ინდიკატორი**

ენის იერარქიულ სისტემაში ლექსიკური ენობრივი დონე ყველაზე მეტად მგრძნობიარე უბანია. ენისა და საზოგადოების მრავალასპექტიანი ურთიერთობის საკითხი აქ ლამის ფოტოგრაფიული სიზუსტით მჟღავნდება. დიფერენციაციისა და ინტეგრაციის რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესები ენას – როგორც ღია დინამიკურ სისტემას – მუდმივად თან სდევს. ამ პროცესებზე დაკვირვებისათვის მდიდარ მასალას გვთავაზობს ენის ლექსიკური ფონდი (ჩვენს შემთხვევაში: ქართული ლექსიკური ფონდის დინამიკა).

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ენა არ წარმოადგენს ოდენ ნომენკლატურას. სხვადასხვა ენა სხვადასხვანაირად ანაწევრებს აზროვნებას: „სხვადასხვა ენა სხვადასხვანაირად აღნიშნავს, ანაწილებს და აერთიანებს საგანთა სინამდვილეს და არც ერთი ენა არ მიჰყვება საყოველთაო სქემას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი უნივერსალური სქემა არ არსებობს. ყოველი ენა წარმოადგენს საგანთა სინამდვილის თავისებურ კლასიფიკაციას და ამიტომ სამყაროს იმდენი კლასიფიკაცია გვაქვს, რამდენი ენაცა“ (გ. ნებიერიძე). ამ თვალსაზრისით საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე ლექსიკოლოგიურ პროცესებზე დაკვირვება. ამ პროცესებში ორი ძირითადი კომპონენტია: **თანამედროვე სოციოკულტურული სიტუაცია** და **პრაგმატული ასპექტი**. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ენის ქმედუნარიანობისას პრაგმატული ასპექტი თავს იჩენს ენობრივი იერარქიის თითქმის ყველა დონეზე (ფონეტიკა, ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, სემანტიკა), თუმცა კი, უპირველესად, პრაგმატული მხარე ენისა უფრო

მეტ გავლენას ახდენს სემანტიკაზე. თავის მხრივ ეს გავლენა აისახება მიმდინარე სემანტიკურ პროცესებში, მრავალი საჭირო თუ არასაჭირო სიახლის სახით.

მოსენებაში საგანგებო ყურადღება ეთმობა ლექსიკური ცვლილების ფსიქოლოგიურ ფაქტორს.

## მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

### ინგუშური სალიტერატურო ენის ერთი პრობლემური საკითხისათვის

საკითხი ეხება ინგუშური უო დიფთონგის დაწერილობის პრობლემურ საკითხს; კერძოდ, რუსული გრაფიკის (კირილიცის) მიხედვით სალიტერატურო ენაში არ არის გარჩეული უო და ო დაწერილობებს (ფონემებს) შორის არსებული სხვაობა, ვინაიდან ისინი ერთი ო ნიშნით (გრაფემით) გამოიხატება, შდრ.: ინგუშ. მუოთა (MOTT) „ენა“ და მოთა (MOTT) „ლოგინი“... როგორც ვხედავთ, ეს ორი აბსოლუტურად განსხვავებული წარმომავლობის სიტყვა (მუოთა და მოთა) კირილიცით მხოლოდ **MOTT** სახით, ანუ ერთნაირად ჩაიწერება, რაც ქმნის ენაში არარსებული ომონიმიის საფუძველს. უფრო მეტიც, აქ აუცილებელი ჩანს იმის აღნიშვნაც, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში რეალიზებული პრაქტიკა უო დიფთონგის განსხვავებული ჩაწერისა – უო (დ. იმნაიშვილი), უო (თ. გონიაშვილი), აწყდება ფონოტაქტიკურ პრობლემებს, ვინაიდან ნებისმიერი თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში ნახურ ენებში უ სონანტი აკრძალულია, რასაც საერთონახური (ფუძემდური) საფუძველი ახასიათებს; ასევე ვაინახური ფონოტაქტიკის წესებით, შეუძლებელია ხმოვანი + ხმოვანი ტიპის თანმიმდევრობები ერთი სიტყვის (ძირის) ფარგლებში; და თუ ის ენაში მაინც გამოჩნდა (ვთქვათ ნასესხებ სიტყვებში), მაშინ გაითიშება მაგარი ' შემართვით, შდრ. რუსული специально, авиация = ინგუშ. სპეციალნა, ავიაცი. ჩანს, ამ ფორმებში ი+ა გაითიშა '-თი, რაც დღემდე მოქმედი არქაული წესია ნახური ენებისათვის.

უნდა დავასკვნათ, რომ უო სახით დიფთონგის ჩაწერის აუცილებლობა ინგუშური ენის ბუნებით არის ნაკარნახევი და ამგვარი მიდგომის ადეკვატურობა განსაკუთრებით იგრძნობა ნებისმიერი სიტყვის აუსლაუტში, როცა ენაში აკრძალულია ბოლოკიდურა **ო**-ს ხმარება. ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა, რომ ნებისმიერი ინგუშური **ო** სიტყვის ბოლოში ან უო დიფთონგის სახით გამოითქმის (ჩილმანხუო „მეცნიერი“, საგ-უო „კაცმა“), ზოგჯერ ა-ში გადადის, ან სულაც იკარგება, შდრ. ინგუშ. ლომმა : წ.-თუშ. ლამო „ზეგ“, ინგუშ. ლილა : ჩეჩნ. (ჭებ.) ლილო „სათრიმლავი ნივთ.“...

## ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე

### **ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება** (თანამედროვე მდგომარეობა და მომავლის ამოცანები)

1953 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა განყოფილება. 1966 წელს იგი გარდაიქმნა (და დღესაც ასე იწოდება) **ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებად**.

განყოფილების ორ ძირითად, უმთავრეს ამოცანად იმთავითვე დასახელდა:

1. **ნორმათა რეკომენდაციების შემუშავება;**
2. **ორთოგრაფიული ლექსიკონების გამოცემა.**

მოსხენებაში მიმოვიხილავთ ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ისტორიას, შესრულებულ თუ მომავლის სამუშაოებს, დასახულ მიზნებსა და ამოცანებს.



## სტუდენტთა სექცია

ნ ა მ ი ლ გ ა ს ა ნ ო ვ ი

### **ფრაზეოლოგიური გამოთქმების ერთი სახეობისათვის აზერბაიჯანულში (ქართულთან მიმართებით)**

„ფრაზეოლოგიური გამოთქმები აზერბაიჯანულში ქართულთან მიმართებით“ ჩვენი სადიპლომო თემაა. მოხსენებაში წარმოდგენილია მხოლოდ მცირე ნაწილი დასახელებული ნაშრომიდან.

ჩვენ გავეცანით ბიძინა ფოჩხუას ნაშრომს – „ქართლი ენის ლექსიკოლოგია“, აგრეთვე თედო სახოკიას ლექსიკონს – „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“ და ალექსანდრე ონიანის ლექსიკონს – „ქართული იდიომები“.

აზერბაიჯანული მასალა მოვიპოვეთ ქულუ მეჰერლემლისა და რაფიკ ისმაილოვის „აზერბაიჯანული ენის ფრაზეოლოგიური ლექსიკონიდან“. ჩვენი მიზანია ქართულ და აზერბაიჯანულ ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა შედარება და, შესაბამისად, მსგავსებანსხვავებათა დამებნა – რა შემთხვევაში მიმართავს ორი ტიპოლოგიურად განსხვავებული ენა ერთსა და იმავე ლექსიკურ ერთეულებს მსგავსი მნიშვნელობის გამოსახატავად (მყარ შეხამებათა საშუალებით).

მოხსენებაში განხილულია იმ სახის ფრაზეოლოგიზმები (აზერბაიჯანული და ქართული მასალის გათვალისწინებით), რომლებშიც საკვანძო სიტყვებად გამოყენებულია ადამიანის სხეულის ნაწილები: პირი, ენა, თვალი, ხელი, ქუსლი, მხარი.

საანალიზო მასალა შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: პირველ სვეტში მოცემულია აზერბაიჯანული ფრაზეოლოგიური გამოთქმა, მეორეში – მისი სიტყვასიტყვითი თარგმანი ქართულად. მესამე სვეტში ახსნილია მყარი შეხამების მნიშვნელობა, ხოლო მეოთხეში გათვალისწინებულია აზერბაიჯანული იდიომის ქართული შესატყვისი (ასევე იდიომის სახით).

## მ ა რ ი ა მ ტ ე ფ ნ ა ძ ე

### **ნაცვალსახელთა ბრუნების ტიპები ძველ ქართულში**

ნაცვალსახელთა ბრუნების ტიპებზე მუშაობისას (ძველ ქართულში), უპირველეს ყოვლისა, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- გამოიყოფა თუ არა ძველ ქართულში უკუმშველი და კუმშვადი, უკვეცელი და კვეცადი ნაცვალსახელები?
- აქვს თუ არა ყველა ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვის ფორმები?
- განიცდიან თუ არა ცვლილებას ბრუნვის ნიშნები?
- იცვლის თუ არა ესა თუ ის ნაცვალსახელი ფუძეს ბრუნებისას?
- ნაწილაკიან ნაცვალსახელებთან ბრუნვის ნიშანი ფუძეს დაერთვის თუ ნაწილაკს?
- გამოიყოფა თუ არა ბრუნების ისეთი ტიპები, რომლებიც მხოლოდ ნაცვალსახელებისთვისაა დამახასიათებელი?

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ გამოვყავით ნაცვალსახელთა ბრუნების 14 ტიპი. თითოეული მათგანი გარკვეული ნიშნით (ან ნიშნებით) განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან.

მოხსენებაში გაანალიზებულია თოთხმეტივე ტიპი ძველი ქართულის მონაცემთა გათვალისწინებით.

## ნ ა თ ი ა ტ ე ე მ ა ლ ა ძ ე

### **შერწყმულთანდებულისანი სახელისა და ზმნა-შემასმენლის სინტაქსური მექანიზმისათვის თანამედროვე ქართულში (-ში და -ზე- თანდებულისანი სახელები)**

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ -ში და -ზე- თანდებულისანი სახელებით გადმოიცემა: ა) უბრალო დამატება („ნი-

ნო მთელი დღე იმ **მერცხლებზე** ფიქრობდა“; „**შენში** კაცისას გრძნობას არ ხედვენ“...); ბ) ადგილის გარემოება („**ეზოში** ორი დიდი მუხა იდგა“; „ლუკა აგვისტოში **ზღვაზე** მიდის“...); გ) დროის გარემოება („**ალიონზე** ცა მოიწმინდა“; „**ბარბარე დეკემბერში** ჩამოსულა“...).

მოხსენებაში გაანალიზებულია შერწყმულთანდებულიანი სახელისა (-**ში** და -**ზე**- თანდებულიანი ფორმების) და ზმნა-შემასმენლის სინტაქსური მექანიზმის საკითხები თანამედროვე ქართულში; განსაზღვრულია, თუ რა შემთხვევაში არიან -**ში** და -**ზე**- თანდებულიანი ფორმები მართლნი ზმნა-შემასმენლისგან და როდის მიერთვიან ისინი სინტაქსის წამყვან წევრს (ზმნა-შემასმენელს).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილია სახელისა და ზმნა-შემასმენლის სემანტიკური ჯგუფები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წყვილთა სინტაქსური მექანიზმის დადგენისას.

## ს ა ნ დ რ ო ჩ ე მ ი ნ ა ვ ა

### **დაცემულ ანგელოზთა სახე „ღვთაებრივ კომედიასში“**

მოხსენებაში განხილულია დაცემული ანგელოზების<sup>1</sup> და ცოდვილთა არჩევანით გამოწვეული ვითარება, როგორც არჩევანით მიღებულ შედეგთა (ამ შემთხვევაში სასჯელთა) ტიპოლოგიის შემადგენელი ნაწილი. ნაშრომი შესრულებულია დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ პირველი ნაწილის, „ჯოჯოხეთის“, მე-3 სიმღერის მიხედვით.

დანტე ალიგიერი გვთავაზობს „არჩევანის“, როგორც აქტისა და შედეგის, მკაცრ და რადიკალურ გააზრებას.

---

<sup>1</sup> ანგელოზთა ბუნების თეოლოგიური (ქრისტიანული და, უფრო კონკრეტულად, კლასიკური კათოლიკური) ანალიზი იხილეთ კათოლიკე ფილოსოფოსის, პიტერ კრიფტის, წიგნში: P. Kreeft, „Angels and Demons: What Do We Really Know about Them?“, Ignatius Press, USA, 1995.

მას შემდეგ, რაც ვერგილიუსი დანტეს შეიყვანს ჯოჯოხეთში, წინკარში მყოფ ფლორენციელ მომლოცველს შემოხვდებიან უმაქნისები. პოეტი ცოდვილთა ტანჯვას შესვლისთანავე გვიხატავს:

„ასეთი მცირედი ტანჯვით იგვემებიან იმ ბედ-შავთ სულნი, რომელთაც სიცოცხლეში არცრა სასირცხვილო და არცრა საქებარი არ ჩაუდენიათ. მათ – არეულთ ერთად, ერთ მთლიან, კრულ ანგელოზთა საზიზღარ რიგში, უფლისთვის არც უერთგულიათ და არც ამხედრებიან მას, არამედ იყვნენ თავისთვის. მათ ზეცაც განიშორებს, რათა არ გამოჩნდეს სილამაზე ცათა ნაკლები, რამეთუ ზეცაში ყოფნით დიდების წვეთი მოეცხებოდათ დამნაშავეთაც, ასეთებს კი ღრმა ჯოჯოხეთიც არ მასპინძლობს“ [ღვთაებრივი კომედია 2021: 36].

ვფიქრობთ, „არჩევანის აუცილებლობა“ შეიძლება გავიაზროთ ორგვარად: 1. არჩევა – როგორც აუცილებლად განსახორციელებელი აქტი (ანუ ვალდებულება – აირჩიო ნებისმიერი რამ ნებისმიერ შემთხვევაში) ან 2. არჩევა – როგორც აუცილებლობის არჩევის აქტი (ანუ აუცილებლად არჩევა იმისა, რაც აუცილებლად ასარჩევია).

„ჯოჯოხეთის“ წინკარში მყოფ დემონებს არა მხოლოდ არ აურჩევიათ ის, რაც ასარჩევი იყო (სიკეთე), არამედ არც ის, რაც ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აერჩიათ (სიკეთე ან ბოროტება). შესაბამისად, მივიღეთ „დანტესეული მისტიკური ანომალია“, რაც გულისხმობს შემდეგს: არსებობს ნება (აურჩევლობა), თუმცა არ არსებობს არჩევანი (მესამე). შესაბამისად, ბათილია ის აზრი, რომ ადამიანს შეუძლია აირჩიოს მისთვის არააუცილებელი რამ, ანუ ამავე ლოგიკით გამოირიცხება ადამიანის ღვთისაგან თავისუფლება (რადგან თავისუფლება უკვე გულისხმობს მიზნობრიობას, რადგან იგი საბოლოოდ დაქვემდებარებულია გარკვეულ მიზეზზე).

ადამიანისათვის არჩევანის თავისუფლება უნდა განისაზღვროს – როგორც ადამიანის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შემადგენელი და მუდმივად თანმდევი ელემენტი, რომლის გარეშეც ადამიანი ვერ იქნებოდა ცხოველზე უკეთესი.

საგულისხმოა კიდევ ერთი რამ: პრინციპი, რომელიც ერთიანად და ერთდროულად ვრცელდება ადამიანებსა და დაცემულ ანგელოზებზე, არ არის შემთხვევითი. დანტე ხაზგასმით მიგვანიშნებს, რომ თავისუფლება, როგორც ღმერთისაგან ბოძებული უმაღლესი ღირებულება, არის თანაბარი განსაზღვრებისა და მნიშვნელობის მქონე თავისი არსით: მაგ., ადამიანისათვის, როგორც რანგობრივად დაბალი სუბსტანციისათვის, და ანგელოზისათვის, როგორც რანგობრივად მაღალი სუბსტანციისათვის, თავისუფლება ერთნირია მისი არსით. ამიტომ შეკთხვაზე – ხომ არ იქნებოდა კანონზომიერი, რომ ამ შემთხვევაში მათთვის შერჩეულიყო ისეთი ნეიტრალური ადგილი, სადაც არც ტანჯვა იქნებოდა და არც ნეტარება, მაგ., ლიმბო? – პასუხი შემდეგია:

„Non ogni desiderio di qualcosa per un fine è scelta, ma il desiderio accompagnato dal discernimento di una cosa da un'altra.“ [Q. 13, A. 2, La Somma Teologica 2014: 148], რაც ასე ითარგმნება: „სასრულობის მიუხედავად, ყოველი ნდომა რაღაცისა არ არის არჩევანი, არამედ – სურვილი, რომელსაც ახლავს განრჩევლობა ერთი საგნისა მეორისაგან“.

უფუნური ცხოველის მიერ უპირატესობის მინიჭება შეპირობებულია მისივე ბუნებით, ანუ მისი სურვილი გარკვეული საგნებისაკენ ბუნებრივად მიდრეკილია, ხოლო ამ საგანთა შორის არსებობს ნაკლებად მიმზიდველი და მეტად მიმზიდველი საგნები. ეს არ ეხება მხოლოდ ცხოველებს, მაგ., ასეთია ცეცხლი, რომელიც, არჩევანის მიუხედავად, მაღლა მიიწევს, და არა დაბლა [Q. 13, A. 2, La Somma Teologica 2014: 149]. შესაბამისად, არჩევანი, როგორც შედეგი, – რამდენადაც ერთი საგანი მეორისაგან განირჩა, – დამახასიათებელია ადამიანისათვის, – როგორც ინტელექტუალური არსებისათვის.